



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №22/60

2014 წლის 26 დეკემბერი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77-ე და 78-ე მუხლების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი თანდართული სახით.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ერთეულის) 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2013 წლის 18 დეკემბრის #24/36 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი თავი I

ძირითადი მაჩვენებლები და მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17 006,9	5 343,5	11 663,4	23 579,7	9 582,6	13 997,1	13 776,0	0,0	13 776,0
გადასახადები	6 448,1	0,0	6 448,1	5 800,0	0,0	5 800,0	6 000,0	0,0	6 000,0
გრანტები	7 193,9	5 343,5	1 850,4	13 496,1	9 082,6	4 413,5	4 376,8	0,0	4 376,8
სხვა შემოსავლები	3 364,9	0,0	3 364,9	4 283,6	500,0	3 783,6	3 399,2	0,0	3 399,2
ხარჯები	12 926,5	155,0	12 771,5	14 042,8	0,0	14 042,8	13 838,1	0,0	13 838,1
შრომის ანაზღაურება	3 251,4	0,0	3 251,4	3 256,4	0,0	3 256,4	2 322,1	0,0	2 322,1
საქონელი და მომსახურება	1 616,5	0,0	1 616,5	1 847,4	0,0	1 847,4	1 540,6	0,0	1 540,6
პროცენტი	149,3	0,0	149,3	121,0	0,0	121,0	100,0	0,0	100,0
სუბსიდიები	6 466,8	155,0	6 311,8	7 280,7	0,0	7 280,7	7 995,6	0,0	7 995,6
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	561,8	0,0	561,8
სოციალური უზრუნველყოფა	1 405,6	0,0	1 405,6	1 501,5	0,0	1 501,5	1 310,5	0,0	1 310,5
სხვა ხარჯები	36,9	0,0	36,9	35,8	0,0	35,8	7,5	0,0	7,5
საოპერაციო სალდო	4 080,4	5 188,5	-1 108,1	9 536,9	9 582,6	-45,7	-62,1	0,0	-62,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 669,7	5 517,8	151,9	9 329,1	9 582,6	-253,5	-272,1	0,0	-272,1
ზრდა	6 377,7	5 517,8	859,9	10 229,1	9 582,6	646,5	962,9	0,0	962,9
კლება	708,0	0,0	708,0	900,0	0,0	900,0	1 235,0	0,0	1 235,0
მთლიანი სალდო	-1 589,3	-329,3	-1 260,0	207,8	0,0	207,8	210,0	0,0	210,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 792,1	-329,3	-1 462,8	-24,2	0,0	-24,2	0,0	0,0	0,0
კლება	1 792,1	329,3	1 462,8	24,2	0,0	24,2	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 792,1	329,3	1 462,8	24,2	0,0	24,2	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-202,8	0,0	-202,8	-232,0	0,0	-232,0	-210,0	0,0	-210,0
კლება	202,8	0,0	202,8	232,0	0,0	232,0	210,0	0,0	210,0
საშინაო	202,8	0,0	202,8	232,0	0,0	232,0	210,0	0,0	210,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17 714,9	5 343,5	12 371,4	24 479,7	9 582,6	14 897,1	15 011,0	0,0	15 011,0
შემოსავლები	17 006,9	5 343,5	11 663,4	23 579,7	9 582,6	13 997,1	13 776,0		13 776,0
არაფინანსური აქტივების კლება	708,0		708,0	900,0		900,0	1 235,0		1 235,0
გადასახდელები	19 507,0	5 672,8	13 834,2	24 503,9	9 582,6	14 921,3	15 011,0	0,0	15 011,0
ხარჯები	12 926,5	155,0	12 771,5	14 042,8		14 042,8	13 838,1		13 838,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 377,7	5 517,8	859,9	10 229,1	9 582,6	646,5	962,9		962,9
ვალდებულებების კლება	202,8		202,8	232,0		232,0	210,0		210,0
ნაშთის ცვლილება	-1 792,1	-329,3	-1 462,8	-24,2	0,0	-24,2	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13 776,0 ათ.

ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17 006,9	5 343,5	11 663,4	23 579,7	9 582,6	13 997,1	13 776,0	0,0	13 776,0
გადასახადები	6 448,1	0,0	6 448,1	5 800,0	0,0	5 800,0	6 000,0	0,0	6 000,0
გრანტები	7 193,9	5 343,5	1 850,4	13 496,1	9 082,6	4 413,5	4 376,8	0,0	4 376,8
სხვა შემოსავლები	3 364,9	0,0	3 364,9	4 283,6	500,0	3 783,6	3 399,2	0,0	3 399,2

მუხლი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6 000,0 ათ.

ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა		2015 წლის გეგმა	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6 448,1	0,0	6 448,1	5 800,0	0,0	5 800,0	6 000,0	0,0	6 000,0
ქონების გადასახადი	6 448,1	0,0	6 448,1	5 800,0	0,0	5 800,0	6 000,0	0,0	6 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 554,1		3 554,1	4 300,0		4 300,0	4 400,0		4 400,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0			0,0			10,0		10,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	224,4	0,0	224,4	170,0	0,0	170,0	125,0	0,0	125,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	21,0	0,0	21,0	30,0	0,0	30,0	50,0	0,0	50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2 641,8	0,0	2 641,8	1 300,0	0,0	1 300,0	1 415,0	0,0	1 415,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	6,8		6,8	0,0			0,0		

მუხლი 5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4 376,8 ათ.

ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
გრანტები	7 193,9	13 496,1	4 376,8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	59,8	36,7	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7 134,1	13 459,4	4 376,8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 790,6	4 376,8	4 376,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	1 530,6	4 116,8	4 116,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260,0	260,0	260,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 343,5	9 082,6	0,0

მუხლი 6. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 399,2

ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	3 364,9	4 283,6	3 399,2
შემოსავლები საკუთრებიდან	1 652,2	2 185,0	1 941,2
პროცენტები	129,7	150,0	100,0
დივიდენდები	18,1	15,0	21,2
რენტა	1 504,4	2 020,0	1 820,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1 485,3	1 980,0	1 800,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	19,1	40,0	20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 008,1	895,0	1 008,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	932,6	895,0	960,0
სანებართვო მოსაკრებელი	108,1	100,0	100,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,6	0,0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	344,5	380,0	380,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	477,4	415,0	480,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	75,5	0,0	48,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	75,5	0,0	48,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	698,6	400,0	450,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6,0	803,6	0,0

მუხლი 7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 13 838,1 ათ.

ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12 926,5	155,0	12 771,5	14 042,8	0,0	14 042,8	13 838,1	0,0	13 838,1
შრომის ანაზღაურება	3 251,4	0,0	3 251,4	3 256,4	0,0	3 256,4	2 322,1	0,0	2 322,1
საქონელი და მომსახურება	1 616,5	0,0	1 616,5	1 847,4	0,0	1 847,4	1 540,6	0,0	1 540,6
პროცენტი	149,3	0,0	149,3	121,0	0,0	121,0	100,0	0,0	100,0
სუბსიდიები	6 466,8	155,0	6 311,8	7 280,7	0,0	7 280,7	7 995,6	0,0	7 995,6
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	561,8	0,0	561,8

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სოციალური უზრუნველყოფა	1 405,6	0,0	1 405,6	1 501,5	0,0	1 501,5	1 310,5	0,0	1 310,5
სხვა ხარჯები	36,9	0,0	36,9	35,8	0,0	35,8	7,5	0,0	7,5

მუხლი 8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების

ცვლილება -272,1 ათ. ლარის ოდენობით. მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 962,9 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 377,7	10 229,1	962,9
ძირითადი აქტივები	6 377,7	10 229,1	962,9

ბ) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1235,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	708,0	900,0	1 235,0
ძირითადი აქტივები	113,1	200,0	200,0
არაწარმოებული აქტივები	594,9	700,0	1 035,0
მიწა	594,9	700,0	1 035,0

მუხლი 9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების

ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი/ფუნქციონალური	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 662,0	3 872,5	3 388,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 511,4	3 736,5	3 288,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 511,4	3 667,5	3 138,1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	69,0	150,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	150,6	121,0	100,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	15,0	0,0
702	თავდაცვა	116,6	127,9	105,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	732,0	697,8	561,8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	55,9	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	676,1	697,8	561,8
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 259,6	1 683,4	265,0
7045	ტრანსპორტი	1 236,4	1 643,7	265,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 236,4	1 643,7	265,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	23,2	39,7	0,0
705	გარემოს დაცვა	1 700,0	4 302,1	1 555,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	801,3	1 014,2	845,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	898,7	3 287,9	710,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 370,2	3 667,6	1 820,0
7061	ბინათმშენებლობა	1 361,9	1 486,5	290,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	176,7	1 307,0	415,0
7064	გარე განათება	765,0	706,7	950,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	66,6	167,4	165,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	642,3	639,4	525,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130,0	141,0	130,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	512,3	498,4	395,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6 415,2	6 385,5	3 640,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 534,3	3 775,6	1 455,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3 874,0	2 559,9	1 775,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	6,9	22,0	140,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	28,0	270,0
709	განათლება	1 579,0	1 976,0	2 105,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 466,1	1 860,0	2 000,0

დღეგრძეობის სახელი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	112,9	116,0	105,0
710	სოციალური დაცვა	827,3	919,7	835,5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	483,8	508,1	485,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	163,3	205,3	200,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	180,2	206,3	150,0
	სულ	19 304,2	24 271,9	14 801,0

მუხლი 10. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 210,0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათ. ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -210,0 ათ. ლარის ოდენობით.
2. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის „ჭანტურიას ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება“ (2005 წ.), „ბარათაშვილის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება“ (2005 წ.), „თავდადებულის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება“ (2005 წ.), „ექსკავატორ-მტვირთავის შეძენა“ (2008 წ.), „საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენა“ (2008 წ.), „ქ. ფოთში რუხაძის, ვაჟა-ფშაველას, გორგასლის ქუჩების რეაბილიტაცია“ (2009 წ.), „ქალაქ ფოთში ჭავჭავაძის ქუჩის (ინდუსტრიულ ზონასთან დამაკავშირებელი გზა), ჭავჭავაძის ჩიხისა და მდინარე რიონის გასწვრივ (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია“ (2011წ.) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრედიტო ვალდებულებები (კრედიტების ძირითადი თანხა) მუნიციპალური განვითარების ფონდისადმი 2015 წელს სავარაუდოდ შეადგენს 210,0 ათ. ლარს.

მუხლი 13. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150,0 ათ. ლარის ოდენობით.
2. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
3. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ბრძანების პროექტი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან შეთანხმებით წარედგინება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 260.0 ათ. ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130.0 ათ. ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 105.0 ათ. ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 12.0 ათ. ლარი;
- დ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 13.0 ათ. ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სხვა მარეგულირებელი ნორმები

1. ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში ბავშვთა კვებისათვის დაწესდეს 1 ბავშვზე 1,60 ლარი დღეში, რომელიც განისაზღვრება არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული მენიუთი.

2. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ერთეულის) 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირები, კერძოდ:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები (ტრანსფერი) – არაკომერციული (არასამეწარმეო)

იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;

ბ) მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა – საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით რეგისტრირებული (სათანადო ლიცენზიებისა და ნებართვების მქონე)

სამედიცინო დაწესებულებები;

გ) საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების პროგრამა – შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტი“.

3. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

4. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სახანძრო-სამაშველო სამსახური და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

5. სხვა გათვალისწინებული კულტურული და სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ხარჯების მუხლიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

6. გადანაწილება და საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან თანხის ასახვა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

7. უფლება მიეცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს კონკრეტულ შემთხვევებში პროგრამის შიგნით გადაანაწილოს და ცვლილებები შეიტანოს შესაბამისი ღონისძიებებიდან გამომდინარე, გარდა გადანაწილებისა და საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან თანხის ასახვის განხორციელებისას – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

8. უფლება მიეცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს განსაზღვროს (დაამტკიცოს) კონკრეტული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებადი ღონისძიებების ან/და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი თანხების ზღვრული ოდენობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული ღონისძიებების, პროგრამების და პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი და ზედამხედველობა განხორციელონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

10. მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 04) და ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 05) არ ვრცელდება იმ ოჯახებზე (ბენეფიციარებზე), რომლებიც სარგებლობენ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით (დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა) დამტკიცებული პროგრამით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის მოქმედების პერიოდში.

თავი II

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 17. ქალაქის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქში ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რაც თავის თავში გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას (გზები და ხიდები). კერძოდ, ქუჩების ორმულ შეკეთებას, ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერებას, ქუჩებში სათვალთვალ ვიდეო კამერების მოწყობას, საგზაო ნიშნების მოწყობას, შუქნიშნების მოვლა-პატრონობას, ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს, მუზეუმის შენობის სახურავის კაპ. შეკეთებას, დაზიანებული ლიფტების მოვლა-პატრონობას, ჭარბი ნალექებისა თუ სხვა შემთხვევისას დაგროვილი წყლის ამოტუმბვას, გარე განათების რეაბილიტაციას (ქუჩები და ხიდები), გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობას, განათების ქსელისა და სატუმბო სადგურების ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას, სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობას, დასუფთავების ღონისძიებებს,

ნაგავშემკრები ყუთების შექმნას, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლირებას, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდას, მათ აღდგენასა და მოვლა-პატრონობას, ფეკალური საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობას, არსებული სკვერებისა და პარკების, შადრევნების მოვლა-შენახვას, გამწვანების სამუშაოებს და სხვა.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ფოთში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას, კერძოდ კი ხელს შეუწყობს არსებულის შენარჩუნებას მიმდინარე მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოების კვალობაზე, ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერება. ასევე დაგეგმილია საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, ქუჩებში სათვალთვალ ვიდეო კამერების მოწყობა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ლიფტების, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის და ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ჩამდინარე წყლების მართვის, არსებული ქსელის მოვლა-შენახვის, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, გარე განათებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ასევე დაგეგმილია ნაგავშემკრები ყუთების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველების იზოლირება.

1.2.1 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაციის, სახურავების მიმდინარე შეკეთების, ჭარბი ნალექებისა თუ სხვა შემთხვევისას დაგროვილი წყლის ამოტუმბვის სამუშაოები.

1.2.2 გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, დაზიანებული და ამორტიზებული სანათების

შეცვლა, ასევე დაფინანსდება გარე განათების, საცხოვრებელი სახლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელექტროენერჯის ხარჯები.

1.2.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება და ნარჩენების მართვის სხვა ღონისძიებები. ასევე დაგეგმილია ნაგავშემკრები ყუთების შექმნა.

ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდებისა და ცენტრალური გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

1.2.4 უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ მოწყობილ თავშესაფარში. ამით უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

1.2.5 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქალაქში, დღეისათვის არსებული სანიაღვრე არხების ქსელები სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, რადგან სანიაღვრე არხები ზოგან ჩახერგილია, ზოგან კი მოშლილია. დღეისათვის, ქალაქის რამოდენიმე ქუჩაზე მოწყობილია ახალი სანიაღვრე არხები. სულ ნაწილობრივ აღდგენილია ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების 50%. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კი განხორციელდება სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, მათი აღდგენა და მოვლა-პატრონობა, ასევე სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩებისა და მრავალბინიანი ს/სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობა, მუზეუმის შენობის სახურავის კაპ. შეკეთება და სხვა ღონისძიებები.

1.3.1 კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის შესაბამისად 2015 წელს განხორციელდება საახალწლო ქალაქ გაფორმებისათვის ინვენტარის შეძენა, სახელმწიფო დროშების შეძენა, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმება, მინი სპორტული მოედნებისა და საათების მოვლა-პატრონობა, 9 აპრილის ხეივანზე და ნაბადის უბანში მდებარე სკვერების, დიდების მემორიალის, ცენტრალური და სხვა პარკებისა თუ სკვერების მოვლა-პატრონობა, მუზეუმის შენობის სახურავის კაპ. შეკეთება.

1.3.2 ქალაქის გამწვანება (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებში, პარკებსა და სკვერებში ერთწლიანი და მრავალწლიანი ყვავილებისა და სხვადასხვა ხე-მცენარეების დარგვა. სულ ქალაქის ტერიტორიის 2-3%-ია გამწვანებული.

1.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქის-ფოთის ცენტრალური პარკი“ (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, როგორცაა ხეების გადაბეღვა, შეთეთრება და სხვა. ასევე გათვალისწინებულია გამწვანების ღონისძიებების განხორციელება, რათა შექმნილი იქნას შესაბამისი გარემო ნორმალური დასვენებისათვის.

1.5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოებზე არსებული მდგომარეობის მოწესრიგება, სასაფლაოზე საფლავების დადგენილი წესით გამოყოფა. სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება, გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება, სამარეზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, სასაფლაოს გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოს ტერიტორიაზე საფლავის შემოფარგვლის, საფლავის ძეგლის მოპირკეთებითი სამუშაოების, სხვა საჭირო ობიექტების დადგმადამონტაჟების საკითხების დარეგულირება და სხვა. სასაფლაოს ეფექტური მართვისათვის საჭირო მომსახურების ახალი სახეებისა და მათი საფასურის ოდენობის შესახებ წინადადებების მომზადება.

2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

აღნიშნული წარმოადგენს პრიორიტეტს საქართველოს სახელმწიფოს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ვინაიდან სახელმწიფოს განვითარება კულტურული, რელიგიური და ახალგაზრდული სულისკვეთებისა და სპორტული მიღწევების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

2.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მოსახლეობის სპორტული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენტა წახალისება.

2.1.1 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ძირითადი არსია ქალაქში სპორტის შემდგომი განვითარება, ქალაქის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, სააერთაშორისო ტურნირები), სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენტა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია, ქალაქის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის სასწავლო და საწვრთნელი პირობების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენტა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ადგილობრივი ტურნირების და პირველობების ორგანიზება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია, მაღალი კლასის სპორტული რეზერვების მომზადება და ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.

2.1.2 ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

აღნიშნული ტურნირების ჩატარებით დაფასდება ფოთის პერსპექტიული სპორტსმენების და სპორტის დამსახურებული მუშაკების მოღვაწეობა, აგრეთვე ეს ტურნირები ხელს შეუწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას კრივში, რაგბში, ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, საბაიადრო და კანოეთ ნიჭბოსნობაში. ტურნირის ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედლებით, დიპლომებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1500 სპორტსმენი და 5500 მაყურებელი.

აღნიშნული პროგრამით ასევე გათვალისწინებულია ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები.

2.1.2.1 სხვა გაუთვალისწინებელი ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება გულისხმობს საბიუჯეტო წლის დასაწყისში დაუგეგმავ და აუცილებლად განსახორციელებელ ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებს, რომლებიც მოთხოვნისა და შესაბამისი კომპეტენტური დასკვნების საფუძველზე დაფინანსებულ იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.1.3 შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქალაქში არსებობს ერთი პროფესიონალური კლუბი ფეხბურთში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“. ფეხბურთი ერთ-ერთი სპორტის წამყვანი სახეობაა, რომლის განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას.

2.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა კულტურული და პატრიოტული ღონისძიებების დაფინანსება, რელიგიური და სხვა სახის საქმიანობის ხელშეწყობა.

2.2.1. სახელოვნებო სკოლები (სასწავლებლები) (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქალაქი აფინანსებს სახელოვნებო სკოლებს, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის თანაბარი პირობების შექმნა. მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა. სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება, წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული

ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში. ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდა. კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

2.2.2 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით მოხდება ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, დაჯილდოვება, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, ბავშვთა თეატრების წარმოჩენა და განვითარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭისა და ხელოვნებითი შემოქმედების გამოვლენა, სკოლისგარეშე დროის საინტერესოდ ორგანიზება. თემატური ინფორმაციების მოძიება-დამუშავება, სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარება, სკოლისგარეშე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობა, შემოქმედ ბავშვთა წარმოჩენა.

2.2.2.1 სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02 01)

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება გულისხმობს საბიუჯეტო წლის დასაწყისში დაუგეგმავ და აუცილებლად განსახორციელებელ კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც მოთხოვნისა და შესაბამისი კომპეტენტური დასკვნების საფუძველზე დაფინანსებულ იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.2.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ქ. ფოთის ვალერიან გუნიათა სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (პროგრამული კოდი 05 02 03)

თეატრის ძირითად ფუნქციებს, მიზნებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ თეატრალური ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, აგრეთვე სხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა. მოსახლეობისათვის კლასიკური და თანამედროვე თეატრალური ნამუშევრების გაცნობა. ეროვნული და მსოფლიო თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, თეატრალური ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა.

2.2.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამა ემსახურება ქართული მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურისა და უძველესი ტრადიციების ფართო პროპაგანდას. ხელს უწყობს ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდას. უზრუნველყოფს ნიჭიერ შემოქმედთათვის სათანადო პირობების შექმნას და მათ მაქსიმალურ გამოვლენას, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, კონკურსების, პერსონალური გამოფენების და შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზებას და მოწყობას.

2.2.5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ძირითადი არსია მკითხველთა დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის. შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკაშორისო აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთაცვლის საშუალებით. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურება საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა.

2.3 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი) (პროგრამული კოდი 05 04)

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის მინათების და გარე განათების ხარჯების უზრუნველყოფა.

2.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებისა და სოციალური კვლევის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციებისა და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლობს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის პოტენციალს და სპეციფიკას, იკვლევს ტურისტული ბაზების კონიუნქტურას, მარშრუტებს, ხელს უწყობს ქალაქის მასშტაბით ტურისტული ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნასა და განვითარებას, ქმნის ქალაქის ტურისტული შესაძლებლობების საინფორმაციო ბანკს, მუდმივად ახდენს სრულყოფასა და განახლებას. ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის

მდგომარეობაზე სოციალური პირობების გავლენის შესწავლას, დემოგრაფიული პროცესების ინფორმაციული ბანკის შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური აქტივობის სტატუსის (დასაქმების, უმუშევრობის) საინფორმაციო ბანკის შექმნას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მუშაობის (უბნების მიხედვით) ხელშეწყობას მათ უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით (წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დასკვნის მიწოდება).“

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით დიდი ყურადღება დაეთმობა ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას.

3.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 04 01)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა.

ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ არის 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ერთობლიობა, 2-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 2100 აღსაზრდელით და 345 მომსახურე პერსონალით.

გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი სამჯერადი კვების ორგანიზაციასა და ზამთრის პერიოდში ბაღების საწვავით მომარაგებას. ბავშვები იმყოფებიან ექთნის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ქალაქში დღეისათვის რეაბილიტირებულია 4 საბავშვო ბაღი, სადაც დადის 1050 აღსაზრდელი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ამ დაწესებულებებში

შექმნილია ესთეტიკურად ლამაზი, უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის.

პროგრამის მიზანია სკოლამდელი თაობის სახელმწიფოებრივი სოციალური და კულტურული მოთხოვნილებებით აღზრდა.

3.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 04 02)

აღნიშნული პროგრამა ემსახურება მოსწავლეთა ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიურ, მხატვრულ და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, კულტურული დონისა და ეროვნული სულის ამაღლებისთვის ზრუნვას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, საგნობრივი წრეების შექმნას მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით._

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც გააუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) **(პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. ანტირაბიული, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან. მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.

4.2. ჯანდაცვის სხვა პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

